ქართულ ხუროთმოძღვრების ძეგლებზე დადასტურებული თახჩებიანი სათავსები

ანა შუბითიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნოდარ ბახტაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა შუბითიძე

10. 07. 2020.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების ძეგლებზე არაერთგზის დადასტურებული ე.წ. „თახჩებიანი“ სათავსები (ოთახები, რომლების ინტერიერებსაც ირგვლივ მრავლობითი, ერთი და იმავე ზომის ნიშები შემოუყვება). ნაშრომში ახალი შეხედულებებია გამოთქმული მათი სავარაუდო ფუნქციის, ხნოვანებისა და წარმოშობის ვითარების შესახებ.

მაგისტრანტს ამ ტიპის ნაგებობების კვლევის სურვილი აღუძრა თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბადაანის მახლობლად მდებარე „ცხრაკარას“ ციხე-დარბაზთან გაცნობამ. საქმე ისაა, რომ ფართო საზოგადოებრიობისათვის ამ ნაკლებად ცნობილ შუა საუკუნეების კომპლექსში, მთავარ შესასვლელთან, ჩართულია ასეთივე თახჩებიანი კოშკი. ადგილზე ჩატარებულმა, მთლიანი კომპლექსისა და კონკრეტულად ამ სათავსის დამატებითმა ისტორიულ-ხუროთმოძღვრულმა ანალიზმა და წინა წლებში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური კვლევის გამოუქვეყნებელი შედეგების დამუშავებამ ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ პრაქტიკულად გამორიცხულია, მას აფთიაქის (წამლის სახლის) ფუნქცია შეესრულებინა, როგორც ამას ძეგლის ერთ-ერთი მკვლევარი ვარაუდობდა. საყურადღებოა, რომ ეს სათავსი ნიშების ზომით და განლაგების სქემით, ზუსტად შეესატყვისება საქართველოსა თუ მეზობელ ქვეყნებში მრავლად დადასტურებულ მსგავს ნაგებობებს და, მოპოვებული არტეფაქტების ანალიზით, აგრეთვე განვითარებულ ან გვიან შუა საუკუნეებში ჩანს შექმნილი.

ამასთან დაკავშირებით, ნაშრომის ფარგლებში ხელახლა იქნა განხილულ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი სხვა ანალოგიური სათავსები, რომელთა დანიშნულების შესახებაც მეცნიერებს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული. საწინააღმდეგოდ ამ ტიპის ნაგებობათა ფუნქციის შესახებ დღეს-დღეობით ქართულ მეცნიერებაში ყველაზე გავრცელებული ვერსიისა, სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ლოგიკურ და ფაქტობრივ არგუმენტებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ არც

ვარძიის მონასტრის თითქმის საყოველთაოდ აფთიაქად მიჩნეულ გამოქვაბულს და არც მაღალაანთ კომპლექსისა თუ უფლისციხის თახჩიან ოთახებს, ფარმაციულ საქმიანობასთან არავითარი კავშირი არ აქვს.

მაგისტრანტი, ადგილზე მუშაობით გამოტანილი დასკვნების, აგრეთვე საქართველოს მეზობელი რეგიონებისა თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დადასტურებულ ანალოგიურ სტრუქტურებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ ცხრაკარას კომპლექსისა და შუა საუკუნეების ყველა მსგავსი თახჩებიანი ოთახები სამტრედეებს წარმოადგენს. ეს მოსაზრება, საწინააღმდეგოდ გაბატონებული შეხედულებისა, ადრე ზოგიერთ ქართველ მეცნიერსაც ჰქონდა გამოთქმული, თუმცა მათ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სათანადოდ არ ჰქონდათ გააზრებული მტრედების მათში დაბინავების მიზანი. ვინაიდან მონასტრებში, საეკლესიო კომპლექსებსა თუ ეკლესიიანი ციხე-დარბაზების საპარადო შესასვლელებში მტრედების საკვებად მოშენება გამორიცხულია, ავტორის აზრით, დიდი ალბათობით, ამ სათავსებში საფოსტო მტრედებს განათავსებდნენ. ნაშრომში მოტანილია სათანადო მტკიცებულებანი, თუ რამდენად იყო გავრცელებული მსოფლიოს მრავალ რეგიონში, დაწყებული უძველესი ცივილიზაციის წიაღიდან, სულ ბოლო საუკუნეების ჩათვლით კომუნიკაციის, შეტყობინებების გაცვლის ეს სისტემა; ნაჩვენებია, რომ საფოსტო მტრედების სადგომებსაც, ისევე როგორც უტილიტარული მიზნით მოწყობილ სამტრედეებს, ზუსტად აღწერილის მსგავსი, უჯროვანი სტრუქტურა გააჩნდათ: ყოველი მისამართით გასაგზავნი შეტყობინებისთვის, საკუთარი სამტრედე თახჩა იყო გამიზნული.

Abstract

The subject of the following MA research paper is the unveiled alcove storages (rooms, whose interiors are decorated with several, same-sized niches) on the middle ages architectural sites on the territory of Georgia. The research paper states the new perspectives about the function, age, and formation of these alcoves.

MA candidate's incentive to create research about this very topic as a result of getting to know "Tskhrakara" Castle in Tianeti Municipality, near village Badaani. The thing is that at the entrance of the less-publicly known middle age complex there is a tower with alcoves. As a result of the field research, (specifically after the additional analysis of this alcove), as well as sorting the results of the previous, unpublished researches the author came to the conclusion that it was practically impossible the very alcove was used as a pharmacy. Previously this opinion was led by one of the site-researchers. It is noteworthy that the features of these niches (size and layout scheme) are analogical to those similar sites in Georgia and neighboring countries. The additional analysis of the artifacts seems to be created in the late Middle Ages.

For these purposes within the framework of the paper, the author will once again review other similar storages on the territory of Georgia. The specify of these storages is that a lot of researchers have different opinions about their function. On the contrary of the most popular opinion in Georgian science, the author, based on logical and factual arguments, believes that none of the alcoves neither in "Vardzia", nor in "Maghalaant Complex" or "Uplistsikhe" had the pharmaceutical usage.

MA candidate, through the fieldwork and with the help of comparative analysis to other sites in Georgia and other countries, thinks that the real function of alcoves in "Tskhrakara Complex" and in other Middle Ages buildings was to serve as dovecotes. In contrast to the dominant perspective about the function of the alcoves, this opinion was previously stated by several scientists, however, they didn't fully realize why should one accommodate the pigeons in those alcoves. Regarding the fact that in monasteries and castles with churches accommodating pigeons for consummator purposes is absolutely impossible, the author stands with an opinion that pigeons were serving as post birds. The following paper reflects the trustworthy arguments to show how common this kind of communication system in the middle ages was. The paper also underlines the similarity between dovecotes which were built for utilitarian purposes and the dovecotes for post birds – Both of those dovecotes had the cellular structure, where each dovecote was for each pigeon.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში შეტანილი წვლილისთვის, განსაკუთრებულ მადლობა მინდა გადავუხადო სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ ნოდარ ბახტაძეს, რომელმაც მიუხედავად გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა, მაინც შეძლო უშუალო მონაწილეობა მიეღო კვლევის წარმართვაში, მომცა ბევრი სასარგებლო რჩევა.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ პირს, რომელმაც ნაშრომის მომზადების პროცესში გამიწია რაიმე სახის დახმარება. რეცენზიის ავტორს და ასევე წინამდებარე ნაშრომით დაინტერესებულ პირებს.